ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

ოქმი N11

22.11.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თემური დუნდუა
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თორნიკე კირთაძე

[redacted]

მოისმინეს: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ".

მომხს. თემური დუნდუა

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე".
2. განკარგულების პროექტი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში".
3. დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N14/37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 10 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე.

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება დადგენილების პროექტის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია, დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს კომისიებიდან და ფრაქციებიდან შემოსული შენიშვნა–რეკომენდაციების გათვალისწინებით

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: 1. ცნობად იქნას მიღებული საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში თანახმად დანართისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშში აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, მერიამ პერიოდულად საკრებულოს წარუდგინოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 0

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N14/37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე – 4 წინააღმდეგი – 2

მოისმინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 10 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 10 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“ ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 0

კომისიის თავმჯდომარე თემური დუნდუა